



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 29 დეკემბერი

**დისციპლინური საქმე №283/18
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2018 წლის 16 ნოემბრის №283 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 აპრილის წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 17 აპრილს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების უკანონობაზე.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - -- -- მიმართ და მოითხოვა მისი რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ -- -- 2013 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

-- -- სარჩელი განსჯადობით გაიგზავნა -- -- სასამართლოში. -- -- სასამართლოს 2018 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა - -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი -- -- 2013 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილება -- -- რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა -- --. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 5 სექტემბრის განჩინებით, -- -- საჩივარი დარჩა განუხილველი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 17 აპრილის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

მოსამართლე 2018 წლის 5 სექტემბრის განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. კონკრეტული საკითხის შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

მოსამართლე -- -- წლის -- -- №-- დადგენილებით დაინიშნა -- --.

გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ სუბიექტს. ამდენად, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს ზემოაღნიშნული მოსამართლის მიმართ არსებულ საჩივართან დაკავშირებით, ვინაიდან, არ არსებობს მის მიმართ, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი.

ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

შესაბამისად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

-- -- 2019 წლის 16 ნოემბრის №283 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი